

„დორიან გრეის პორტრეტის“ ტელეკრანიზაციები

სოფო ხუციშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ანგლისტიკის ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა

ხელმძღვანელი: ნინო ფირცხალავა, სრული პროფესორი შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სოფო ხუციშვილი. 23 იანვარი. 2019 წელი.

აბსტრაქტი

როგორც გასულ საუკუნეში, ასევე თანამედროვე კულტურულ სამყაროში სულ უფრო ხშირი და აქტუალური ხდება კინოვერსიის გადაღება მხატვრული ნაწარმოების მიხედვით. ინგლისელები სიტყვა „ინტერპრეტაციას“ იყენებენ, როცა მხატვრული ტექსტის კინოეკრანიზებაზე საუბრობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვიერი სიმბოლოები არავერბალური ნიშნებით გადმოიცემა.

ხშირად იმდენად დიდ ინტერესს იწვევს კლასიკური ნაწარმოების ფილმად გადაღება, რომ იგი ხანგრძლივი დავისა და განხილვის საგანიც კი ხდება.

უფრო მეტიც, ყოფილა შემთხვევები, როცა დავა იმის თაობაზე გამართულა, ხომ არ სჯობია კინოეკრანიზაცია ნაწარმოების ორიგინალს ანუ ფილმი თუ წიგნი? თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყოველთვის, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება.

მხატვრული ნაწარმოების კინოფილმად ნახვა, როგორც წიგნის ერთგვარად მეორედ დაბადება და სხვა სიცოცხლის შთაბერვა, ყოველთვის საინტერესო და აქტუალურია. თუმცა შესაძლოა, მაყურებელში იმედგაცრუება ან აღფრთოვანება გამოიწვიოს.

რაც უფრო დიდია სხვაობა ნაწარმოების ტექსტის სიღრმესა და ინტერპრეტატორისეულ ვარიანტს შორის, მით უფრო მოულოდნელი შეიძლება იყოს საეკრანო ვერსია, მასში ახალი ასპექტების გამოვლინება და საკითხის განსხვავებულად დანახვა. ნაცნობმა ტექსტმა შეიძლება, შეიძინოს ახალი, სხვა რაკურსიდან დანახული მნიშვნელობა .

ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს და უნიკალურ მაგალითს იძლევა ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“. ნაწარმოების 30-ზე მეტი ვერსია

ადასტურებს კინოსამყაროს უსაზღვრო ინტერესს ამ რომანის მიმართ. კვლევისთვის სწორედ გვიანი ვიქტორიანული ეპოქის ეს საუცხოო რომანი შეირჩა.

კვლევის მიზანია, გავარკვიოთ, როგორ აისახა „დორიან გრეის პორტრეტი“ კინოს სამყაროში, ასევე, როგორია მისი კინოინტერპრეტაციები.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება თავად დიდ ინგლისელ შემოქმედს, ოსკარ უაილდს, მის ბიოგრაფიულ მხარეს, მის ადგილს ვიქტორიანულ სამწერლო ეპოქაში.

მეორე თავში განხილულია ოსკარ უაილდის ერთადერთი სქელტანიანი რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“, ის ფილოსოფიური პრობლემები, რომლებიც ნაწარმოებშია დასმული.

მესამე თავში საუბარია რომანის ეკრანულ ვერსიებზე. ხოლო ნაშრომის ბოლო თავში კი განხილულია ოსკარ უაილდის ორი სახე, როგორც „დორიან გრეის პორტრეტის“ ავტორისა და როგორც საოცარი ზღაპრების შემქმნელისა.

ნაშრომის დასაწერად შეირჩა მრავალფეროვანი ლიტერატურა, ასევე, ინტერნეტ რესურსი. ლიტერატურა მოიცავდა როგორც ოსკარ უაილდის ბიოგრაფიულ ცნობებს, ასევე მისი ნაწარმოებების განხილვას.

ნაწარმოების კინოინტერპრეტაციების განხილვისათვის შეირჩა 6 ფილმი: „დორიან გრეის პორტრეტი“ 1945, 1973, 1977(ორი ეკრანული ვერსია), 2010 წლებში გადაღებული. ასევე 1983 წელს გამოშვებული „დორიან გრეის ცოდვები“ -საკმაოდ ორიგინალური ვარიანტი და 2014-16 წლებში გადაღებული სერიალი „საშიში ზღაპრები“.

კვლევამ აჩვენა, რომ ყველა კინოვერსიას ერთგვარი გენეტიკური კავშირი აქვს უაილდისეული რომანის მიმართ და ამავდროულად, განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ჟანრობრივად, ასევე სტილისტურად.

ფილმის რეჟისორები მეტ-ნაკლები სიზუსტით, ორიგინალთან მიახლოების გზით, შეეცადნენ თავიანთ შემოქმედებაში, კინოს საშუალებით გადმოეცათ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ნაწარმოებშია აქტუალური.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ოსკარ უაილდი, დორიან გრეი, კინო, პორტრეტი, ინტერპრეტაცია.